ᲦᲘᲠᲐ 26 ᲙᲝᲞᲔᲙᲘᲡ. ᲦᲘᲠᲘ 10 ᲙᲝᲞ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲐᲢᲠᲐᲮᲘ

№ 31 -სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

„ᲕᲔᲛᲐ ᲒᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ ᲐᲚᲛᲬᲠᲓᲔᲚᲘᲡᲐ, ᲠᲐ ᲣᲠᲛᲐ ᲜᲐᲮᲝ ᲐᲕᲐᲓ ᲬᲠᲓᲘᲚᲘ“

ᲚᲘᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ Ს. ᲫᲘᲑᲝᲬᲘᲡᲐ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲗᲐᲣᲠᲝ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲐᲚᲛᲬᲠᲓᲣᲚᲜᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲔᲨᲛᲐᲣᲠ ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲔᲑᲔᲜ ᲐᲚᲬᲠ-ᲓᲘᲚᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲐᲕᲐᲓ

„ვირი ბატონაო გუაგდეთო, ჰაჩის ნურავინ კადრებთო“

ძველი თავი ქუთაისისა. ბოქალაქენო! მე ხომ გამაშავეთ და გამაშავეთ, მაგრამ ამაზე კარგ თავს თქვენ მაინც ვერსად იშოვით. აირჩიეთ იგი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკის ბასაჯირი.

დავჯექ და ვფიქრობ მწუხარე:
არ ვიცი თქვენმა ლხენამა,
საითკენ უნდა წამიღოს
დღეს ჩემმა აღმფრენამა!
რა უნდა გითხრათ ისეთი,
სულს სევდა გადაჰყაროსა,
და არ შემოსდვათ ჟურნალი
გულმოსულებმა თაროსა?
რა უნდა გითხრათ ისეთი,
გული დაატკბოს შვებითა,
როცა თითონ თქვენ, მკითხველნო,
ასეთს არარას შვებითა??
რა უნდა გითხრათ ისეთი,
ღიმი მოჰგვაროს ბაგესა,
თუ კი ვერ ვხედავ თქვენშიგან
საქვეყნო მოამაგესა?
და აი ვზივარ მწუხარე,
არ ვიცი თქვენმა ლხენამა,
რითი უნდა გცესთ ნუგეში
ბოროტმა ჩემმა ენამა.

თქვენ იტყვით:—„განა ცოტაა
დღეს საეშმაკო თემაო?
აი თუნდ გემნაზიაში
მასწავლებელთა ცემაო“.
მაგრამ რა, უნდა გამოვტყდე
და მოგახსენოთ ყველასა,
რომ თითონ ველი იმათგან,
მუშტებს და ხათაბელასა.
ხუმრობა საქმე არაა
აზნაურების მტერობა,
დე, სცემონ ისევ აღმზრდელებს,
მე არ მსურს მაგიერობა.
გურამიშვილი დავითი
სიტყვაზე იყო ფრთხილია...
მან კი სთქვა: „სცემე აღმზრდელებს
ყრმა ნახო ავად ზრდილია“.
—ვთქვათ აგი ერთი ჩაფლავდა,
აღარ ივარგა თემამა,
ვერ მოგადინა ლექსები
მასწავლებელთა ცემამა,
მაგრამ შეხედე, თფილისი
ახალს ეღირსა თავსაო,
და ნუ თუ აღარც ამაზე
არ ამოიღებ ხმასაო?

ვერა, ძმობილო, არ შემწევს
მე იმოდენა ხალისი,
რომ მოსაწყენი ამბავი
კვალად გიამბოთ ამისი.
ახალი თავი, ძველთაგან
თაობდა ამ ჩვენს ქალაქსა
ეარშიყება ერთგვარათ:
მუშას, ბანკირს, თუ დალაქსა.
—მაშ აი ქუთათურებზე
დასწერე ცოტა რამეო,
იმათაც ყავდათ „ღალავა“
დოვლათი, კაირამეო!

აქ ცოტა გულიც მომივა...
რასა გავს აგი ქართული?..
ნუ თუ იმდენათ ბგონივართ
საქმეებშიგან გართული,
რომ არ ვიცოდე, - ქუთაისს
ყავდა თუ არ თავ-ფეხი...
ეგ სადაური თავია
ჭადისა ცივის ნატეხი?!!
აბა რა ვწერო იმაზე,
ვინც ქვეყნათ არა ყოფილა
კუსავით ნახირ-ნახირა
თავებში გამოყოფილა?
— მაშ ხოლერაზე დასწერე,
ან არა შავსა ჭირზედა,
ხომ ხედავ; დიდს და პატარას
ის აკერია ჭირზედა.

ეჰ, ნეტავი შენ, მკითხველო,
ხოლერას ეტრფი კვალადა,
მე კი მომწყინდა ორივე,
ვერ შევიყვარებ ძალადა.
დავჯდები ისევ მწუხარე;
გულს გადავუშლი სევდასა...
რა დრო დამიდგა ვაგლახი
ხომ ხედავთ?
ვაი დედასა!!!

ეშმაკი

* * *

უკვე დაბინდდა, ვარსკლავთა ჯარი
ცაზე აენთო, როგორც ლამპარი.
და ბადრი მთვარე, შუქ-მოელვარე,
მთის გადაღმიდან ამოიპარა.
ვერცხლებრ დაფერა მთლად არემარე
და ღრუბელთ ნაგლეჯს ამოეფარა.
ქარი კი მღერის ველურ სიმღერას,
მას ბანს აძლევენ ტალღები ზღვისა...
მე მარტო ვზივარ. ჩემ ჩანგის ჟღერას
ყურსა უგდებენ ფრინველნი ტყისა.
ნაზი ფერია, ლაჟვარდის შვილი,
თავს დამტრიალებს, მიმღერს ხმა-ტკბილი:
„აქ რათ ზიხარ, ფრთა გაშალე,
ჩემთან ერთად გამოფრინდი;
ნუთუ გულსა არ გიწყლულებს
ზღვის ღრიალი, ღამის ბინდი?!
„მე წამომყევ, ცათ აგიყვან,
კარს გაგიღებ ლაჟვარდისას

და შეგმოსავ ნათელ შუქით,
დაგამსგავსებ მნათობს ცისას!
„პოეზიის სამფლობელოს
გადაგიშლი თვალთა წინა,
სადაც მზე-ქალს, სიტურფის ღმერთს,
აქვს შუდმივი, მკვიდრი ბინა!“
მაგრამ არ მომწონს მისი სიმღერა.
შეესძახი: ნაზო! ვერ მაცდენ, ვერა!
სითაც შენ მიწვევ, მეპატიჟები,
იქ ხოსია, სხვა არაფერი,
იქ არ ისმიან სიცოცხლის ხმები,
სიკვდილს უპყრია სუყველაფერი!
პოეზია და მშვენიერება
აქვეა, აქვე, ცხოვრების გულში,
და იმას მხოლოდ იგი მისწვდება,
ვისაც რომ ცეცხლი უღვივის სულში!

ვ. რუხაძე.

დ ე კ ე შ ე ბ ი.

ბათუმი. ქალაქის გამგეობამ 1000 მანეთი დაუნიშნა ჯილდოთ იმას, ვინც ერთის კვირის განმავლობაში 1000 ვირთხას მოკლავს. ამბობენ ჯილდო ისევ ქალაქის გამგეობას დარჩება, რადგან ბათუმის ვირთხები სულ ქალაქის კასაში არიან დაბინავებულნი და იქ ნადირობა კი გარეშე პირებს აკრძალული აქვთო.

ქუთაისი. ახალ ხმოსნებს განზრახვა აქვთ ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა როგორმე წინ წასწიონ. ამ მოსაზრებით განზრახულია გადასახადი დაწესდეს ჯორებზე. ეს პირველი შემთხვევაა მუნიციპალურ ცხოვრებაში და ქუთათურ მოქალაქეთა ზნე-ჩვეულების მიხედვით კარგი შემოსავალიც არის მოსალოდნელი.

ფოთი. ქალაქის საბჭომ თანხმობა განაცხადა ოსმალეთის მთავრობის წინადადებაზე სესხის განაღდების შესახებ. ფოთის ქალაქი აძლევს ოტომანის იმპერიას 60000000 მანეთს, ხოლო პირდება ერთ ამდენს სოხუმის ქალაქს გავანაღდებიებთო. მოლაპარაკებას აწარმოებს ცნობილი სტამბოლელი მისიონერი და აწ ქართველი მოღვაწე იასე რაჟველი.

სურამი. ტაცებლობა ერთობ გახშირდა! პირველათ მოიტაცეს ბავშვი, შემდეგ მოიტაცეს ფული, კიდევ შემდეგ მოიტაცეს ერთი წყვილი პოეტები და კიდევ შემდეგ მოიტაცეს მთავარ დიაკონი. დანარჩენები ჯერ ჯერობით მშვიდობით არიან.

ოზურგეთი. იმან იმ საქმეზე იმას ქრთამი გამოართვა. ეს შეუტყვეს იგენმა, მაგრამ იმის მეგობრებმა ხელი დაიფარეს და გადაარჩინეს იგი განსაცდელს. გარეშე ხალხი შესაქცერის ამ ამბავს.

თელავი. ჩვენებურ პოეტებს: ვასოს და გეურქას, გუშინ წინ, მოულოდნელათ მუზები დაეკარგათ. არ იციან წიგნებში ჩარჩათ თუ ღვინოში.

იქიდანვე. სოფელ ახატელის ბარწყინვალე გვამებმა, ანუ უკეთ ვთქვათ ბ-ნმა მგალობლიშვილებმა ადგილობრივი გლეხები მშრალზი დასვეს და მამული კი რუსებს გადასცეს. ამბობენ, ეს კულტურის ასაღორძინებლათ მოიმოკმედეს ხალხის გულშემატკივარმა რაინდებმაო.

იქიდანვე ამბობენ მომავალ არჩევნების დროს ჩვენი ქალაქის თავი, თავობაზე უარს იტყვასო. მის მაგიერობას ან საშა, ან დათება იზამსო. ჰაი გიდი თელავო!

იქიდანვე. ძმათა თათუზოვების სტამბაში სიფხიზლის საზოგადოება არსდება. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სასტამბო საქმეები... (ვერ გავარჩიეთ). სტამბაში მომუშავენი გარდა ღვინისა და არაყისა არაფრით არა თვრებიან.

აჯიკაბული. სიცრუეს მოკლებულია ის ხმები თითქო აქაური სადგურის თანაშემწე ყიფიანი დაეჯილდოებიოთ ახალგაზდობაში ქუჩური ლიტერატურის გავრცელებისათვის. გასაოცარია სწორეთ, რაებს არ მოიგონებენ უსაქმო ენები!!

ბათუმი. ვიჩქარი გაუწყოთ ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება ბათუმის ნოქართა გრანდიოზული კრებისა:

1) გამოეცხადოს ქალაქის გამგეობას უღრმესი მადლობა იმ თავგამოდებისა და ენერგიისათვის, რომელიც გამოიჩინა მან ნოქართა ნორმალურ დასვენების საკითხის მოწესრიგებაში.

2) გამოეცხადოს ბათუმელ აღებს გულწრფელი გრძნობა სიყვარულისა მათი მამობრივი მზრუნველობისათვის, მეტადრე 1905 წლის შემდეგ.

3) მიეცეს უფლება აღებს: როცა სურთ მაშინ გააღონ და დაკეტონ თავიანთი საქველმოქმედო სავაჭრო დაწესებულებანი.

4) გამოეცხადოს ზიზღი იმ ნოქრებს, რომელნიც დილის 5 საათიდან არ გამოცხადდებიან თავიანთ სამოღვაწეო ასპარეზზე.

5) თუ მაინცა და მაინც ვინმემ აიხიროს გაზეთის კითხვა, ან ბიბლიოთეკის დაარსება, მოიკრიბოს ფული ამ საქმისათვის, მაგრამ იმ პირობით, რომ მოკრება ფულისა უთუოდ თ. ს—ძეს მიენდოს, ხოლო შენახვა ე. ა—ძეს...

ყველა მუხლები ერთხმათ და ხანგრძლივის ოვაციებით იქნა მიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ლ ა მ ს.

მივიწყებულო კალამო,
კვლავ შეიღებე შავათა,
აამეტყველე ბაგენი
მტრის გულის მოსაკლავათა!
დეე, კვლავ აღსდგენ სიტყვები
და გადაიქცენ ტყვიებათ,
ორგულის გულსა ეკვეთონ
საშიშარ შურის ძიებათ.
გაჰგმირონ იგი, გააპონ,
აღარ დაინდონ ტიალი,
მასმინონ მისი... მასმინონ...
სასულთმობრძაო ხრიალი.
ამცნონ მტერს, რომ მე კვლავ ვცოცხლობ,
არ შემიხრია ნირია:
არ დამიგდია მიზანი
და ჩემი განაპირია.
თუმც სატრფო ჩემი ტყვეთა ჰყავთ
ზღვას გაღმა, შავ მთას იქითა,
მაგრამ მეც მისდა სახსნელათ
წინ ვიწევ მედგრათ, რიხითა.
ზღვას გადავცურავ ნავითა,
მთაზე გადვიყვან შარასა,
მტრის რისხვათ დავტრიალდები,
მივემსგავსები ჯარასა.
დავიხსნი სატრფოს მტრისაგან,
გარს შემოვაცლი ბორკილსა,
კვლავ ავუყვავებ იმედებს,
უჩემოთ გულდაკოდილსა! .
მაშ, აწკრიალდი, კალამო,
და შეიღებე შავათა!
ხნულად აქციე მინდორი,
მტრის გულის მოსაკლავათა:
ჩასთესე ია და ვარდი...
სატრფოსთვის მინდა კონებათ,
იმისა მტრისგან სახსნელათ
და მტრისა დასამონებათ...

ნ. ზომლეთელი.

ა ლ გ ო ბ ა ზ ი.

ბუჩქზე ვარდი გადაშლილა,
სურნელებას აფრქვევს მარად;
ის წალკოტის მშვენებაა
გაფურჩქნული ათას გვარათ!
შენც ვარდი ხარ ნაზ-კოკობი,
სიხარულის სხივთა მფენო,
კაი ქალი გაიზარდე,
რომ სამშობლო დაამშვენო!

ვ. რუხაძე.

„ოგ-ოგ“, თუ „კუ-კუ“.

ბედაგოგიური ინტერვიუ

იაკობ გოგებაშვილი ღრმა ჩაფიქრებით ჩასცქეროდა პატარა, ქოჩრიანი ფრინველის სურათს, როცა, ეშმაკის მონდობილობით აღჭურვილი, შევედი მის კაბინეტში.

— მაშ ეგრე,—ჩაილაპარაკა მან,—ამიერიდან ოფოფის ხმაურობაზე კრინტს აღარ დაგძრავ არც „დედა-ენასა“ და არც სხვაგან სადმე...

— ბ-ნს იაკობს უმორჩილესი გამარჯვება: მივესალმე დამსახურებულ პედაგოგს და მუსაიფი გავაწყვეტიე.

— რაზედ გარჯილხართ, მოწყალეო ოფოფო?

მე ძლიერ მეწყინა ასეთი მოპყრობა მასპინძლისა, მაგრამ იაკობმა დროზედვე განშიმარტა შეცდომა:

— ისე რიგათ გართული ვარ ამ ოფოფის საკითხში, რომ სულ ამერია დავთარი... ჰო, თქვენ რაზე გარჯილხართ...

— მეც სწორეთ მაგის შესახებ მაქვს დავალება მოგელაპარაკოთ.

— ძლიერ დიდს ღვაწლს დასდებთ საქართველოსა, თუ ოფოფის კილოს სამოლოოდ გადასჭრით.

— ნუ თუ თქვენ ამას იმდენ მნიშვნელობას აძლევთ?

— ოოო! ეს დიდი, ძლიერ დიდი საკითხია! ყველა ფრინველის ენა ვიცით და მხოლოდ ეს ოფოფი აპირვებს საქმესა.

— ამდენს მოგზავრობთ სოფლის სკოლების შესასწავლათ და ნუ თუ არსად გადაჭყრიხართ ოფოფის გალობას?

— წარმოიდგინეთ, რომ არსად. მე მხოლოდ შემინიშნავს, რომ, როცა ჩვენს სოფელს ბევრი ოფოფი ეწვეოდა საგარაკოთა, მაშინ ხშირად მესმოდა „კუ-კუ“.

— თქვენის აზრით ეს ოფოფის გალობა იყო?

— უეჭველათ!

— მოგარაკე ოფოფთაგან „პუ-პუ“ ხომ არსად გაგიგონიათ?

— „პუ-პუს“ მარტო იტალიელი ოფოფები ამბობენ! ჩვენში ამა სად გაიგონებ კაცი ასეთ საამურ ჰანგს.—მუსიკალური ხელოვნება იტალიაში ერთობ მაღლა სდგას.

— ჩვენებური ოფოფი რომ იტალიაში გავგზავნოთ ვერ დაისწავლის იქაურ ჰანგებს?

— რატომაც ვერა. აი, ვანო სარაჯიშვილმა თუ კი ისწავლა იტალიურათ მღერა და ქართულს გადაეჩვია, ოფოფი რატომ ვერ ისწავლის. ამისათვის საჭიროა ერთი გაშინაურებული ოფოფი.

— გაშინაურებული ოფოფი რის მაქნისია, თუ ზუბალოვი ან სარაჯიშვილი სტიპენდიას არ დაუნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ხომ არ გსმენიათ სადმე ოფოფის კილო, ბ-ნო ოფ... ოფელია?

— თითქმის არასოდეს არა მქონია მათთან მუსაფი. ხომ მოგეხსენებათ ძლიერ მორცხვი ხალხია!

— მეც აკი ამიტომ ვნატრი გაშინაურებულ ოფოფს; საკითხის კატეგორიულათ გადაწყვეტისათვის უებარი ღონისძიება იქნებოდა გაშინაურებული ოფოფი, რომელიც, მოშორებული ყოველს შიშს, თავისს ხმას ყველას თვალწინ უნდა გაიძახოდეს.

— კი, მაგრამ საქმე ისაა, მოიპოვება სადმე საქართველოში ასეთი ოფოფი?

— თუ მოიპოვება, მისი პატრონი და მნახველი დიდს ღვაწლს დასდებს სამშობლოს, თუ ამ ფრთოსანის ნამდვილ ხმაურობას გულწრფელად გაუზიარებს ქართველ მოაზრე საზოგადოებას.

— ეს მომავლის საკითხია, ბ-ნო ჩემო, მაგრამ ახლა რითი გავთავოთ ეს საინტერესო ბაასი? რას იძახის ოფოფი: „ოფ-ოფ“-ს, „კუ-კუ“-ს, „პუ-პუ“-ს, „უდ-უდს“, თუ სხვა რამეს?

— ეს არც ისე ადვილი გადასაწყვეტი საქმეა ბ-ნო ოფ...ელია! თუ დავასკვენით, „ოფ-ოფს“ იძახისო, მაშინ „კუ-კუს“ მიმდევრები უზომოდ გაგვიწყრებიან. თუ „კუ-კუ“ დავტოვეთ, მაშინ „ოფ-ოფის“ მომხრენი აგვიმხედრდებიან, ხოლო „პუ-პუს“ რომ ყურადღება არ მივაქციოთ ეს დიდი შეცდომა იქნება. ამგვარათ მოსალოდნელია სასტიკი შინაური ომი და ჩხრკვდელობა ასტყდეს სხვა-დასხვა პარტიათა შორის ამ პატარა ფრთოსანის ნიადაგზე.

— მაშ სად არის ხსნა?

— მე ჩემის მხრით გადავსწყვიტე ამის შესახებ არც „დედა-ენასა“ და არც ბორჯომში კრინტი აღარ დავსძრა. დე ამ ფრიად მაღალ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ყველას მიენიჭოს ჭეშმარიტ ინგლისური თავისუფლება. ვგონებ ამაზე ბ-ნი ჯავახელიც დამეთანხმება.

— აბა რა მოგახსენოთ! შეიძლება ბ-ნს ჯავახელს უფრო ჭეშმარიტ-რუსული თავისუფლება მოსწონს, მაგრამ ჩემთვის ოფოფის საკითხი ჯერაც გაურკვეველი რჩება. აბა მიბრძანეთ რა უნდა მოვახსენო ეშმაკს ოფოფის ჰანგის შესახებ, რას გაიძახის ეგ პატივცემული ფრთოსანი: „ოფ-ოფს“, „პუ-პუს“, „კუ-კუს“, თუ „უდ-უდს“?

— თქვენ მოახსენეთ, რომ ამ კითხვის გარკვევა და საქართველოს ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ერთ გაშინაურებულ ოფოფს შეუძლიან თქვა, რომელსაც შეეძლება თავისი ხმა ყველას თვალ წინაშე გასძახოს.

რა გაეწყობა, მეც მოვახსენებ, რომ ხსნა მოშინაურებულ ოფოფშია!

ყარყუმი.

---

* * *

ხელი რათ მომეც? პირზე ღიმილით
საამხანაგოთ რაღათ მიწვევდი,
თუ ჩემთან ერთად აღარ ივლიდი
და მეგობრობას არ გამიწევდი?!
ძმობის სიმღერას რისთვის ჩმახავდი,
თუ შენი გული ცივი ქვა იყო,
და ჩაგრულთ ცრემლი, ჩაგრულთა კვნესა
შენ არ გესმოდა, შენთვის სხვა იყო?!
რაღათ გამომყე ეკლიან გზაზე,
დასაწყისშივე თუ შესდგებოდი
და მის ქაცვიან მჩხვლეტავ სავალზე,
თუ რომ ბოლომდის ვერ გამყვებოდი!
აღარ მაკმარე ერთხელ ღალატი,
კვლავ გრძნეულ ბადეთ ფეხქვეშ მეგები,
თან ეხლაც ურცხვათ, ცბიერ ღიმილით,
მეგობრობასა კვლავ მეფიცები.
მაგრამ ამაოდ!.. მაგ ოინითა
არჩეულ გზიდან ვერ გამიტყუებ
და, აწ ჭეშმარიტ სატრფოსკენ მავალს,
გულს ცბიერებით ვერ ამიცრუებ.
მაშ, შორს! შორს ჩემგან, სულო ბოროტო,
ამაო არის განზრახვა შენი!
და რისხვას ჩემსა ვეღარ ასცდები,
თუ გზიდან აღარ ჩამომეხსენი...

ანათემა.

შარადა.

„ჩარუ-სე“, „დაუბა-ჩარე“
დღეს ვის არ მოეხსენება?
ვინ არის, ნარდი კამათლით
სიზმრათ არ მოეჩვენება?
არ უყვარს მისი ჩხაკუნი,
კამათლის ხტუნვა-ჭენება,
მეგობრის გასატყავებლათ
პარვით ქვის გადაყენება?
მაშ ნახეთ კამათლზედან
ერთ-ერთი გვერდი რომელი...
შავ-შავი წერტილებია
იმ გვერდზე წყვილათ მჯდომელი,
და დამიწერეთ ქაღალდზე
სახელი იმა გვერდისა,
თორემ, ეგ სიტყვა, პირველი,
უზომოთ შეგვაბერდისა.
მეორე სიტყვა, ფრთოსანთა
ზოგადი არის სახელი...
ერთი და ორი არა გვყავს...
ყველა იქნებით მნახველი,
ზოგი მუდმივათ აქ სცხოვრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარს კალო და საბძელი,
საქართველოს მკვიდრია
სიტურფით დაუძრახველი,
ფეხ-ქვეშ უგიათ მარად-ჟამს,
ბაღნარი, მინდორ მთა-ველი,
ასუქებს პურის მარცვალი,
ფეტვი, თუ ღომის თაველი.
სხვები კი იხიზნებიან
ზამთრობით უცხო მხარესა,
გაზაფხულობით ისევე
ჩვენსას მონახვენ არესა,
სიმღერას შემოგვძახებენ
გულისა გასახარესა,
ჩვენსას ეტრფიან ქვეყანას,
იმის მზეს იმის მთვარესა.

უნდა გავკვეთოთ ეგ სიტყვა,
უმეტნაკლებოთ, ორათა,
(მცირე ხნით მოვლინებით
მიმინოთ, გინდა ქორათა!)
და მოვიხმაროთ პირველი
შარადის მოსაყორათა.
(სიტყვა კი, ერთის დაკვრითვე
განიყოფების სწორათა).

შემდეგ მიაწყვეთ ერთმანეთს
რაც მოიპოეთ შრომითა,
კაცი გამოვა ერთგვარი,
განთქმული ქვეშ-ქვეშ ძრომითა...
განუზომელი, სიფლიდით,
სიხარბით განუზომითა,
სხვათა ქონების ყლაპვაში
მადით, მრჩობლ განუძღომითა.

როს გლეხი კაცის ბინაზე
მოდგება ჭირნახულები:
მატყლი, ღვინო, თუ ხორბალი,
მაშინვე ესე თულები,
იქ გაჩნდებიან, მარტოდენ
ქანქარით დატვირთულები,
რომ, მსხვერპლებს უმეცრებისას,
მსწრაფლ ამოხადონ სულები.
შაურათ მიაქვთ, უსირცხოთ,
მანეთათ შენაფასები...
გლეხი კოტრდება, იმათ კი
ეზრდებათ ფულის კასები.
ალბათ გინახავ სულყველას
ამ ნიაგაბი კაცები.

კოლო.

მქადაგებელი რაჭისა.

საქართველო ძველთაგან საქრისტიანო ქვეყანა იყო, არის დღეს და იქნება მარადის.

ანდრია მოციქული პირველთათ კოლხიდას მოევლინა ქრისტეს მოძღვრებითა და მრავალ ალაგას აღმართა ჯვარი ძელისა.

ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ ჩვენს ხალხს ძველ-რბილში ექნეს გამჯდარი ღვთის სიყვარული.

შარშან იყო, თუ შარშან წინ, ფოთელმა მიკიტანმა **ილია კირთაძემ** წმინდა მოციქულის სახელი მოიხვეჭა სამეგრელოში და ხონის მიდამოებში. მისი ლოცვა ვედრების მეოხებით არა ერთსა და ორ „მართლ-მორწმუნეს“ გამოება ცხვრის თავი და ვირის ყურები. „შეგნებული ხალხი“ მაშინვე მიხვდა, რომ მიკიტან კირთაძეში რაღაც არა ჩვეულებრივი ძალა იმალებოდა და ქედს იხრიდა ამ ძალის წინაშე ცოდვათა თვისთა გამოსასყიდათ.

საიქიოდან მას შემდეგ არავინ დაბრუნებულა, თორემ გვეტყოდა, თუ რა განცხრომაშია არიან იქ, აწ განსვენებულნი მონანი მიკიტანი კირთაძისანი.

სამაგიეროთ ღვთის სიყვარულმა დღეს რაჭაში იჩინა თავი და ილია კირთაძეს იქვე იშოვნა ღირსეული მიმდევარი.

როგორც გაზ. „საქმე“ გადმოგვცემს, სოფელ ბოყვას მოვლინებია ახალი **„მოციქული პეტრე“** (ერისკაცობაში პეტრია ომანიძე).

ჩვენ ჯერ-ჯერობით, არ ვიცით იყო თუ არა როდისმე მიკიტნათ „მოციქული პეტრე“, ან თუ აპირობს შემოწირული ფულებით სადმე რაიმე საეკლესიოს გაღებას, მაგრამ ის კი ვიცით რა პატივისცემითა და მორჩილებით ეპყრობა მას „შეგნებული“ რაჭელი გლეხკაცობა.

ისინი ასობითა და ათასობით მიდიან „პეტრე მოციქულის“ სავანეში სხვა და სხვა შესაწირავით დატვირთულნი. იმავე გაზეთის სიტყვით, 29 ივნისს, სულ რამოდენიმე საათის განმავლობაში მას მისვლია:

ა) ცხრა ცხვარი,
ბ) 250 მანეთამდე ფული,
გ) ორი ურემი ხაჭაპური
დ) ორი ფუთი სანთელი *) და სხვა და სხვა.

ამ უხვი შესაწირავის სამაგიეროთ, „პეტრე

---

*) თუ რამდენი ვირი მიუვიდა, ეს არა აქვს მოხსენებული კორესპოდენტს, რადგან მათი დათვლა მოუხერხებელი გამხდარა სიმრავლის გამო.

უშმაკი.

მოცეკეული“ თურმე ამ გვარ „ლოცვას“ უკითხავდა ხალხს:

„ღმერთო მალალო!
რავქნა მე, ქვე ჯი!...
ხალხი გამხდარა
ქვე გასაკრეჭი...
მომმადლე მათი
მსუქანი ბეჭი
და მადლობელი
დავრჩები მე ჯი!
გლეხნი მოვიდნენ
უფრო ხშირათ ჯი....
ქვე აზნაურნი
არ სჩანან რაჯის.
დატუქსე ყველა
ქვე ურჩები ყე,
ერისთავებსა
უფრო ჩამოყე.
გლეხებს ქვე მოაქვთ
თეთრი ფულები,
ცხვრები, სანთელი,
ხაჯაპურები...
მათ შეეწიოს
ჩემი მადლი ჯი,
გწერს ოშანიძე
პეტრია ბიჯი“...

ამ მოკლე ლოცვის შემდეგ ხალხი მუხლს მოიდრეკს ხოლმე და ხელ აღპყრობით ეკედრება „პეტრე მოცეკულს“ შესაწირავის სიმცირისათვის არ დასწყეოს არავინ.

ღვთის მეტყველი.

მესტვირული

(ხალხ-სენაკისათვის).

„უჩებნი გოდი“ დაიწყო,
გათავდა „კანიკულები“
და მეც რომ სტვირი ავიღო,
ეშმაკო, დამემდურები?
რა ვქნა, ბევრი მყავს საქები,
მრავალი შესახურები,
მაგრამ მეშინის ყველა ვსთქვა:
ვისა აქვს „ვირის ყურები!“
მასწავლებლები მოვიდენ
კაცები, ან თუ ქალები...
უკანასკნელთა „ხუმრობით“
ჯიბეა განაწყალები.
მოწაფეთ ფულსა სტყუებენ,
მშობლებს დაუფსეს თვალები;
„თითო კაპიკით“ მიგრძავდა
მოზრდილი კაპიტალები.

მოწაფემ თუ რომ იყიდა
სწავლისა საჭიროება,
მსწრაფულ დაუხევენ... ქანჭარსა
უნდა მიეცეს შნოება!
თუ რამ სთქვი, „თქვენ რა გესმითო!
თქვენ დაღუპეთო დროება!
თუ არა, უნდა იფიცო
იმათი სარწმუნოება!..

ენუქიძემ ხო ივარგა!
ხალხს გადაჰკიდა ჭირია;
ბავშვნი მიიღო, შემდეგ კი
გასტეხა ფიცის ჩხირია...

თათარიშვილსა მოგვერდი
უქნა, რამეთუ გმირია,
მაგრამ „უსუსტეს მუხლებმა“
„მიწაზე დაჰკრა ცხვირია!“
ჩოჩიას „წაებორძიკა“,
სხვებიც კი დაიპირია;
ძლივს შეკავეს „იქიდან“...
(საბრალო!.. გადაირია!..)

დღეს „ჯაქვითაა“ დაბმული,
მაგრამ შიშსა გვრის ყველასა:
ვაი, თუ აღიწყვიტოსო,
ჩაგვაგდოს ხათაბელასა,
ევსევი ხოფერიათი
დაიწყებს ხალხის წველასა!

მაგრამ... მშვიდობა ჯოჯოხეთს!
ევსევი ახლა მღვდელია...
შხეფელებს მწყესავს, როგორც სურს,
ჯიბე შეექნა სქელია...
ფარდაგი, ნოხი, სპილენძი,
ბუმბული, ყუთი ძველია,
ბევრი აქვს; იხმობს ურიებს...
(ხალხისგან წანართმევია!)

მას მედავითნე მოსძახის:
„დიდება შენდა ოსანა!“
და ამ ამბავმა, ეშმაკო,
დღეს შენთან ამახმოსანა,
შენის უკვდავის სტვირითა
ცოდვილი გამამგოსანა!

აწ რო დავიწყე, ეშმაკო,
არ დამივიწყო დროებით:
შემდეგში მოგინახულებ
ევსევის ძროხა-ხბოებით!

ლილი.

ᲝᲠᲘ ᲔᲨᲛᲐᲙᲘ

Лысые „школьники“

(გულითადი სიყვარულით ვუძღვნით თფილისის ხმოსნებს ორივე ეშმაკები)

მეორე. მაგის წინააღმდეგ ვის შეიძლება რამე ჰქონდეს, მაგრამ შენ მაინც მეტის-მეტი მოგსვლია.

პირველი. აქაო და ხმოსნები ვართო, განა ყველაფრის უფლება აქვთ? მე კარგათ მესმის, საზოგადო დაწესებულებაში ხუმრობაც შეიძლება, მაგრამ თუ ეს ხუმრობაა, მაშინ ყველაფერი ხუმრობა ყოფილა.

მეორე. რაში იყო საქმე გამაგებინე მაინც.

პირველი. დიდი არაფერია, მაგრამ მაინც გეწყინება კაცს. მადლობა ღმერთს, პატარები არ არიან, არც მარტონი იყვენ და ნუ თუ პიროვნების პატივისცემა ასე უცხო ხილი და მიუწდომელი რამეა თფილისელი ხმოსნებისათვის.

მეორე. სჩანს მართლა ყოფილა რაღაც ამბავი, თორემ შენ არც ამდენს აიტკივებდი თავს.

პირველი. იყო რომელია? ქალაქის თავს ირჩევდენ, დარბაზი ხალხით იყო სავსე და როცა ამდენ ხალხშიაც თავს ვერ დაიჭერენ, ცხადია მარტო როცა არიან ათას უარესს სჩადიან.

მეორე. აღარ იტყვი რა იყო?

პირველი. როგორ თუ რა იყო, როცა ყველას გული გვატკინა ამ უმნიშვნელო შემთხვევამ. მე კიდევ ის უფრო მეწყინა, რომ ერთი კაცი არ გამოჩნდა იმდენ ხალხში, რომელსაც გაებედა და დაეგმო ხმოსნების ასეთი საქციელი.

მეორე. თქვი, კაცო, ნუ გადამაყოლე!

პირველი. აი გეტყვი. ქალაქის ხმოსანთა შორის არის ერთი ხმოსანი ბ-ნი ხომასურიძე. მას ალბათ დიდი სწავლა განათლება არ მიუღია და ამიტომ რუსული ისე არ ეხერხება, როგორც მაგალითად ბ-ნ ენფიანჯიანცს, ან სხვა ვინმეს. ამის გამო მერუსულე ხმოსნებს, როგორც სჩანს, ის ათავლწუნებული ჰყოლიათ. როცა ქალაქის თავის კანდიდატს ასახელებდენ, ერთმა ხმოსანმა ბარათზე ხომასურიძის გვარი დასწერა.

მეორე. ალბათ იოხუნჯა არა?!

პირველი. როცა ბ-ნმა ხატისოვმა წარჩინებულ ხმოსნებთან ერთად ხომასურიძის გვარიც ამოიკითხა, ხმოსნებში საერთო სიცილი ატყდა.

მეორე. დამსწრეთაც გაეცინათ?

პირველი. მე სწორეთ იმან მანუგეშა, რომ დამსწრეთა შორის უმეტესობამ ზიზღით მოიხსენია ის ოხუნჯი უცნობი ხმოსანი, რომელმაც ეს ბარათი დასწერა. ცხადია ამრჩევლები მეტის პატივისცემით ეპყრობიან თავიანთ არჩეულებს, ვიდრე თვითონ არჩეულები თავიანთ თავსა და თავისს პატივს.

მეორე. ასტეხეს სიცილი, არა? ჰმ!

პირველი. ეს ერთი პირი სიცილი დაწყნარდა, მაგრამ დადგა დრო, როცა უნდა შეეკითხონ დასახელებულ პირებს: „სურთ თუ არა კენჭი იყარონ?“ ასეთი ყოფილა მაგათი კანონი. შეეკითხენ ყველას, მაგრამ არავის აზრათ არ მოსვლია სიცილი და მიდგა თუ არა ჯერი ბ-ნ ხომასურიძეზე, ხმოსნები კვალად ახვიხვინდენ.

მეორე. აი დასწყევლოს ღმერთმა! კაცო ხატისოვი ხომ იქ იყო? ვერ შენიშნა: ეს უზრდელობაოო?!

პირველი. კარგი ერთი, მამა გიცხონდება! ხატისოვს სად ეცალა მაშინ ასეთი წვრილმანებისათვის, როცა მისი ამდენი ხნის თაობას მომწიფებული თავი ნამდვილ თავად დამტკიცებას მოელოდა.

მეორე. მართლაც ინციდენტი თავის თავად სრულიათ უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც გეწყინება კაცს.

პირველი. გეწყინება რომელია!

ყარყუმი.

ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ Კ. ᲚᲘᲡᲐᲒᲝᲜᲨᲘ.

თქვენ გგონიათ
ლისაბონი
ისპანიაშია, მგონი??
მაგრამ ფრთხილად!...
არ ერწმუნოთ,
ეშმაკმა არ შეგაცდუნოთ:
ლისაბონი ძევს
სხვა მხარეს,
ისპანიის მოსაზღვარეს.

—

მცხოვრებლები
იქაც წახდენ...
გვირგვინოსანს აუჯანყდენ!!
უთხრეს: — „ქვეყნის
დამამშვენო,
თავიდან მოგვშორდი შენო.
რესპუბლიკა
გვინდა ჩვენო“.
მეფემ ეს არ
დაიჯერა....
(ხელში ძალა ჰქონდა ჯერა)...
და თავ-გასულ
ქვეშევრდომებს
უმზადებდა ფიცხელ ომებს.
მაგრამ უცებ
შეიცვალა

მეფისა და ხალხის ძალა:
ჯარი მეფეს.
გადაუდგა
ზღვაში ფლოტი არ დაუდგა...
მეფე ჩუმად
აიბარგა,
ტახტი უცებ
დაიკარგა!
თუ ვის შეაფარა თავი,
ჯერ არ ვიცით
ეს ამბავი,
მაგრამ ისიც, მადლობა ღმერთს,
იქ არ დაუტევა ტყავი.
—დღეს ბატონი,
გუშინ მონა,
ხალხი საქმეს
ეპატრონა,—
და სასახლის
ბნელსა ძალებს,
ვაი საწყალ კლერიკალებს!
ლისაბონის
მიდამოში
დღეს სხვა დროშა დაფრიალებს.

პილოტი.

„შიში მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებ!“

ანდაზებში, საზოგადოთ შევრი სიმართლეა, მაგრამ ამ, ზემოხსენებულში, ყველაზე მეტი.

სულ რაღაც ორი-სამიოდ ოზურგეთელი ყმაწვილი მიაიმასქნეს ვითომდა კორისპოდენტებისთვის სამიოდ თვით, და გაიხედავ, რომ ბრალიანი და უბრალო, წერა-კითხვის მცოდნე და არა მცოდნე, ქალი და კაცი, ერი და ბერი, დიდი და პატარა ყველა ცდილობს გაზეთის საშვალებით უარყოს თავისი ვითომდა კორესპოდენტობა.

ჩვენს რედაქციას უკვე მოუვიდა 700 წერილი, 1200 კაცის მიერ ხელ მოწერილი, რომლებშიაც „ავტორები“ გვარწმუნებენ: „არა ვართ კორესპოდენტები, გვიყავით წყალობა და გამოაცხადეთ ჩვენი უდანაშაულობა თქვენს პატივცემულ ჟურნალშიო“.

იმ 1200 კაცთაგან საკუთარი ხელის მოწერა სკოლნია მხოლოდ შვიდ კაცს, რომელთაც ყველა სხვების მაგიერ მოუწერია ხელი, ხოლო კორესპოდენციის წერის უნარი არც ერთს არ ეტყობა. *)

*) თქვე ადამტვილო, თუ კახსოვთ ეორესპოდენტია კი არა უბრალო, ორიოდ კანაწერა, თვით სამოქალაქო სკოლის მასწავლებლებსაც ვერ დაეწერათ ცნობილ კოლექტიურ წერილში და უბრალო ხალხმა წერა არ იცოდეს ეს რა კასკვირი საქმეა? **ეშმაკი.**

ჩვენი რედაქცია შემდეგისათვის იტოვებს ამ წერილების გამოქვეყნებას, დღეს კი, უადგილობის გამო ეს მოუხერხებელი დარჩა.

ფოსტა.

ჟუთაისი. უცნობ პოეტს. ასეთია, მეგობარო, ახალგაზრდა პოეტთა ბედი! თქვენ იწერებით: ეს ლექსი „ფონის“ რედაქციაში გავაგზავნე, მაგრამ რედაქტორმა ყურადღება არ მიაქციაო. ვიცით, ვიცით, თუ რა ბოროტი ხალხნი არიან ეს რედაქტორები! ისინი ღუპავენ ქვეყანას! მიუხედავთ ამისა თქვენი ლექსი ვერც ჩვენთან გავა ფონს. მაგრამ რომ შთამომავლობას არ დაეკარგოს თქვენი „პოეზიის“ ნიმუში, ვბეჭდავთ რამოდენიმე ტაეპს:

„მოწმენდილს ცაზე მაისის თვეში
ოდეს კაშკაშა გაუდიოდა,
კაზაფხულდისთვის მომზადებული
მთვარე ტრიალდთ ამოდიოდა“.

თქვენ აქ ისე თავისუფლათ სწერთ მთვარის მომზადების შესახებ, რომ ცხადია ისიც გეცოდინებათ, თუ სადა და როგორ ამზადებენ მას. გამბურგში ხომ არა, თუ გახსოვთ?

„ოხ! ოდესმე იქნეს დრო სანატრელი,
და კაშკაშ მთვარეს ტკბილთ ვხედავდე
და ამ ვოხერსა, ბნელსა დრუბელსა
ბილწი სიტყვებით ზიზღს ვუხვდებდე“.

ნუ თუ დავიჯეროთ, რომ თქვენ სანატრელათ გაქვთ ბილწი სიტყვები?

თფილისი. დ. ბ—ძეს. დიდის მწუხარებით გაუწყებთ, თქვენი თხოვნისამებრ, რომ ლექსი „ახალი და ძველი“ არ დაიბეჭდება, რამეთუ ასეთი ლექსი არც ძველ დროში და არც ახლა არ დაწერილა.

„მე პოეტობით არა ვარ
ნასწავლი გამოხრდილია,
არც არა სახელი მაქვს
განთქმული დიდთ დიდია“.

გარწმუნებთ, რომ ვერც ასეთის ლექსებით გაითქვამთ მაინცა და მაინც დიდ სახელს. სჯობს „პოეტობით სწავლას“ თავი დაანებოთ.

რედაქტორ-გამომცემელი: **ნ. ს. სულხანიშვილი.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისი, ბოლოკინის პროსპ. № 6, ტელეფონი № 43.

ხილეულის საკურნალო წყალი

მ. ლალიძის და ამხ.

ჩვენი ქარხნის წყალი

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნით და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წყალი მზადდება კუშუბეულად მინქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

მისი კარგი ღირსება დაჯილდოვებულია

ოქროს და ვერცხლის დიდი მედლით

თუ „თავი“ შენი თან გახლავს, ღარიბათ არ იხსენები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოძმავალი ხმოსანი. ღმერთო ჩემო, ეგ სადაური თავია? ნუ თუ ჩვენ სხვისი თავით უნდა ვიარეთ?! წაიყვანეთ თავ-შესაფარში, თავ-შესაფარში!